## ტენდერის განცხადება - მოწვევა ფასის შეთავაზებაზე

(**RFQ – Request for Quotation**)

**RFQ #:** TF/2026/01

**საგანი:** კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა
**გამოცხადების თარიღი:** 4 თებერვალი, 2026
**შეთავაზების წარდგენის ბოლო ვადა:** 11 თებერვალი, 2026, 18.00 სთ

### 1. ზოგადი ინფორმაცია

ა(ა)იპ „ფონდი ტასო", ს/კ 204522622, არის არასამეწარმეო არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს მოწყვლად ქალთა გაძლიერებისთვის და განათლებისთვის საქართველოს სოფლებში.

ორგანიზაცია იწვევს მომწოდებლებს კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად და ითხოვს კომერციულ წინადადებებს (ინვოისებს).

### 2. ტექნიკური სპეციფიკაცია

| № | დასახელება | დაახლოებითი ტექნიკური მოთხოვნები | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | პანელური კომპიუტერი/All in one | 23", Intel i5, 16GB RAM, 512GB SSD, Windows 11, ან ექვივალენტი | 7 |
| 2 | ნოუთბუქი | 14", Intel i5, 8 GB ან 16 GB, SSD ≈ 512 GB, Windows 11, ან ექვივალენტი | 6 |
| 3 | პრინტერი | HP Laser MFP 137fnw, Canon i-SENSYS MF3010, ან ექვივალენტი | 3 |
| 4 | პროექტორი | ViewSonic PA503W, ან ექვივალენტი | 3 |
| 5 | ციფრული ფოტოაპარატი | Canon EOS 2000D, Canon EOS 4000D, ან ექვივალენტი | 1 |

**შენიშვნები:**

- ტექნიკა უნდა იყოს ახალი;
- მინიმალური საგარანტიო ვადა: 12 თვე;

**3. მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

- რეგისტრირებული იურიდიული პირი;
- კომპიუტერული ტექნიკის მიწოდების გამოცდილება;
- საგარანტიო და შემდგომი სერვისის უზრუნველყოფა;

**4. შეფასების კრიტერიუმები**

უპირატესობა მიენიჭება **ტექნიკურად შესაბამის და ყველაზე დაბალფასიან შეთავაზებას**.

ორგანიზაცია უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი განმარტებები ან დაზუსტებები მომწოდებლისგან.

**5. მიწოდებისა და გადახდის პირობები**

- მიწოდების ადგილი: სხვადასხვა (შეთანხმებისამებრ, თბილისი/ახალციხე/ასპინძა)
- მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 3-5 სამუშაო დღემდე
- გადახდა: საბანკო გადარიცხვით. პროდუქციის ღირებულება მოწოდებული უნდა იყოს დღგს გარეშე (იხ. rs.ge - ზე საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიანი ელექტრონული რეესტრი)

---

**6. შეთავაზების წარდგენის წესი**

ფასის შეთავაზება წარმოდგენილი უნდა იყოს ელფოსტით: **taso.foundation@gmail.com**
საკონტაქტო პირი: **ეკატერინე წურწუმია eka@taso.org.ge**

ფასის შეთავაზება გთხოვთ წარმოადგინოთ თანდართული შაბლონის ფორმაში.

შეთავაზების მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 15 კალენდარული დღე.

---

**7. ორგანიზაციის უფლება**

„ფონდი ტასო“ იტოვებს უფლებას, მიიღოს ან უარყოს ნებისმიერი შეთავაზება მიზეზის განმარტების ვალდებულების გარეშე.